

შპს „დისკავერი“, ს/კ 202187061

2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შინაარსი

1. ფორმა N 1 - ფინანსური მდგომარეობა - ბალანსი	2
2. ფორმა N 2 - საქმიანობის შედეგები - მოგება და ზარალის ანგარიშგება	3
3. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	4

შპს "დისკვერი"
ბალანსის უწყისი

31-Dec-23

31-Dec-24

აქტივები

მიმდინარე აქტივები:		
ნაღდი ფული	26532	32209
საბანკო ანგარიში	2454661	4630405
სულ ფულადი აქტივები	2481193	4662614
დებიტორული დავალიანება	671139	1305869
სულ დებიტორული დავალიანება	671139	1305869
წინასწარ გაწეული ხარჯები	13617	51055
მთლიანი მიმდინარე აქტივები	3 165 949	6 019 538

ძირითადი საშუალებები:		
სატრანსპორტო საშუალებები	286548	346152
დაგროვილი ცვეთა	38567	61668
სულ სატრანსპორტო საშუალებები	247981	284484
ავეჯი და ოფისის მოწყობილობა	93431	89218
დაგროვილი ცვეთა	7516	7193
სულ ავეჯი და ოფისის მოწყობილობები	85915	82025
უძრავი ქონება	246986	234637
დაგროვილი ცვეთა	12349	11732
სულ უძრავი ქონება	234637	222905
მთლიანი ძირითადი საშუალებები	568 533	589 414

მთლიანი აქტივები

3 734 482

6 608 952

31-Dec-23

31-Dec-24

ვალდებულებები და კაპიტალი

მიმდინარე ვალდებულებები:		
კრედიტორული დავალიანება	863197	1083800
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	863 197	1 083 800

მთლიანი ვალდებულებები

863 197

1 083 800

კაპიტალი:		
საკუთარი კაპიტალი	2200	2200
გაუნაწილებელი მოგება	2869085	5522952
მთლიანი კაპიტალი	2 871 285	5 525 152

მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი

3 734 482

6 608 952

მოგება-ზარალის უწყისი

	2023	2024
შემოსავლები:		
მთლიანი გაყიდვები:	4649006	5092131
საერთაშორისო გადაზიდვის ავიაბილეთების რეალიზაციიდან	2746221	2782006
დღგ-ით დასაბეგრი შემოსავალი - ავიარეისების მომსახურება აეროპორტებში, სასტუმროების ჯავშნის მომსახურება და ა.შ (თანხა დღგ-ს გარეშე)	1724646	2123431
სამოგზაურო დაზღვევის საკომისიო და საბანკო საპროცენტო შემოსავალი	178139	186694
წმინდა გაყიდვები	4649006	5 092 131
საერთო მოგება	4 649 006	5 092 131

საოპერაციო ხარჯები		
სახელფასო ხარჯები	355504	781873
ტრანსპორტირების ხარჯები	54930	92757
იჯარის ხარჯი	355104	397282
აეროპორტის ხარჯები	8095	12090
კომუნალური ხარჯები	10565	12080
ჯავშნის სისტემების ხარჯი	32071	49616
საოფისე ხარჯები	188514	225150
საბანკო მომსახურების ხარჯები (მ.შ. გარანტიებზე)	52693	60293
ქონების გადასახადი	6239	6728
სხვა ხარჯი	26122	26643
მთლიანი საოპერაციო ხარჯები	1 089 837	1 664 512

საოპერაციო მოგება	3 559 169	3 427 619
--------------------------	------------------	------------------

ცვეთა და ამორტიზაცია	58432	80592
საპროცენტო ხარჯი - კურსთაშორის სხვაობა	51250	10694
მოგების გადასახადი	517423	500450

წმინდა მოგება (ზარალი)	2 932 064	2 835 883
-------------------------------	------------------	------------------

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ასპექტები

შპს „დისკავერი“ რეგისტრირებულია ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მიერ 2001 წლის 27 ნოემბერს.

კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდი არის 202187061.

კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ტურისტული საქმიანობა.

შპს „დისკავერი“-ს იურიდიული მისამართია: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის გამზირი, 10.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2200 ლარი.

შპს-ს დამფუძნებლები: თეიმურაზი ბუზალაშვი (პ/ნ 63031001592) – 50% და ეკატერინე ჯამბაზიშვილი (TL99KDD9/ნიდერლანდები) – 50%.

საზოგადოებას არ გააჩნია ფილიალები და წარმომადგენლობები.

შპს-ს ანგარიშები გახსნილი აქვს შემდეგ ბანკებში: სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“ და სს „ბანკი ქართუ“.

შპს-ს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰყავდა 47 დასაქმებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

შპს-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს-ს ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

1. ფორმა N 1 - ფინანსური მდგომარეობა - ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (რომელიც შეიცავს 2024 წლის 31 დეკემბრის შესადარის ინფორმაციას);
2. ფორმა N 2 - საქმიანობის შედეგები - მოგება და ზარალის ანგარიშგება 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის (რომელიც შეიცავს 2023 წლის 01 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდისათვის შესადარის ინფორმაციას);

3. ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

ფუნქციონირებადი საწარმო - ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ შპს განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. შპს-ს ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სჯერად, რომ არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას შპს-ს საქმიანობას და უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის. განხორციელებული საქმიანობის შედეგად კომპანიას აქვს დადებითი ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან და მოცულობითი ძირითადი საშუალებები. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია აღნიშნული დაშვებით.

3. საანგარიშო პერიოდი

საანგარიშო პერიოდი შპს-სათვის არის კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

4. ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

შპს-ს ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

5. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადადის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

6. ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებიც შპს-ს ბალანსზე აღირიცხება, წარმოდგენილია ფულადი სახსრებით და მისი ექვივალენტებით, მოთხოვნებით და ვალდებულებებით.

7. ფულადი სახსრები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აისახება ოპერაციის მოხდენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარში.

8. ძირითადი საშუალებები

საზოგადოების ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით.

9. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენიღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი პირობები:

ძირითადი საშუალების დასახელება	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5
ოფისის აღჭურვილობა	5-7
კომპიუტერული ტექნიკა და ავეჯი	5-7
საოფისე ფართი	10

10. გაუნაწილებული მოგება - კომპანიის მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98/1-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისის გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან. საზოგადოება საკუთარ ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღიარებს პირობილი მოგების გადასახადის ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას მომავალ პერიოდებში მოგების განაწილების დროს.

11. კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალი შპს-ს წესდებით და გაუნაწილებულ მოგებას

12. დივიდენდი

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება, როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი.

13. ხელფასები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ წელს, როდესაც საზოგადოების თანამშრომლებმა გასწიეს შესაბამისი მომსახურება.

14. იჯარა

საოპერაციო იჯარის აღიარება ხდება ხარჯის სახით, მისი გადახდის პერიოდში.

15. ვალდებულებები და მოთხოვნები

მიმდინარე ვალდებულებები/მოთხოვნები აღირიცხება იმ თანხით, რომელიც გადახდაც/მიღებაც მოუწვევს საზოგადოებას. საზოგადოების მომსახურების რეალიზაცია და ვალდებულებები ხორციელდება და წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით პარტნიორობთან დადებული ხელშეკრულებების გათვალისწინებით.

16. შემოსავლების და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხდება დარიცხვის პრინციპით. შპს-ს შემოსავალი მოიცავს ტურისტული მომსახურებიდან მიღებულ საკომისიოს და სხვა სახის ფულადი ანაზღაურება.

17. დაბეგვრა

შპს-ს მიმდინარე დანახარჯები, მის საქმიანობაზე გადასახადის გადასახდელად გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შპს დისქავერი"ს დირექტორი

ირინა სერგეევა